საკონკურსო წინადადებების მოწვევა

საქართველო

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

პროექტის სახელწოდება: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების და იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის პროექტი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერის ხელშეკრულება № **AAG-114-G-10-002-01**

საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა

სანიტარული გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და დრენაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები იძულებით გადაადგილებულ პირთა 2 კოტეჯური ტიპის დასახლებებში, შიდა ქართლის და მცხეთა-თიანეთის რეგიონები (სოფელი მოხისი და სოფელი წილკანი)

საკონკურსო წინადადების მოწვევის ნომერი (IFB): USAID/W/ICB/08-Lot 3-2014

საქართველოს მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გრანტი იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების და იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის პროექტის დასაფინანსებლად და აღნიშნული გრანტის ნაწილის გამოყენებას აპირებს **„სანიტარული გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და დრენაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები იძულებით გადაადგილებულ პირთა 2 კოტეჯური ტიპის დასახლებებში, შიდა ქართლის და მცხეთა-თიანეთის რეგიონები (სოფელი მოხისი და სოფელი წილკანი)“ USAID/W/ICB/08-Lot 3-2014 ხელშეკრულების განხორციელების მიზნით:**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) იწვევს უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დალუქული საკონკურსო წინადადებების წარმოსადგენად **„სანიტარული გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და დრენაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები იძულებით გადაადგილებულ პირთა 2 კოტეჯური ტიპის დასახლებებში, შიდა ქართლის და მცხეთა-თიანეთის რეგიონები (სოფელი მოხისი და სოფელი წილკანი)“ USAID/W/ICB/08-Lot 3-2014**

საპროექტო ტერიტორიები მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ:

1. მცხეთა-თიანეთის რეგიონი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი – 25 კმ თბილისის ჩრდილოეთით, საპროექტო ტერიტორიაზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-სტეფანწმინდის საავტომობილო გზით;

2. შიდა-ქართლის რეგიონი, ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხისი – 110 კმ, თბილისის დასავლეთით; საპროექტო ტერიტორიებზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-სენაკის საავტომობილო გზით.

პროექტის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა კოტეჯური დასახლებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. შემოთავაზებული სამუშაოებით გათვალისწინებულია:

სანიტარული გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და დრენაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები იძულებით გადაადგილებულ პირთა 2 კოტეჯური ტიპის დასახლებებში, შიდა ქართლის და მცხეთა-თიანეთის რეგიონები (სოფელი მოხისი და სოფელი წილკანი)

სოფელ წილკანში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი სამუშაოების განხორციელება:

წილკნის დასახლების პროექტით (კოტეჯების რაოდენობა - 400) გათვალისწინებულია მოეწყოს : 400 ტუალეტი; გარე და შიდა საკანალიზაციო ქსელების წყალსადენი-კანალიზაციის სისტემები; ეზოს ქსელები და შიდა სან. ტექნიკა; ინდივიდუალური ქვიშა-ხრეშოვანი ფილტრები.

სოფელ მოხისში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი სამუშაოების განხორციელება:

მოხისის დასახლების პროექტით (კოტეჯების რაოდენობა - 58) გათვალისწინებულია მოეწყოს : 58 საშხაპე; გარე და შიდა საკანალიზაციო ქსელების წყალსადენი-კანალიზაციის სისტემები; ეზოს ქსელები და შიდა სან. ტექნიკა; ინდივიდუალური ქვიშა-ხრეშოვანი ფილტრები. მაგისტრალური გაზსადენის ხაზის მოწყობა; შიდა კვარტალური გაზის ქსელის მოწობა; კოტეჯების დაერთება გაზის ქსელზე და გამრიცხველიანება - 58 მრიცხველი.

ყველა სახის სამუშაო აუცილებელია დასრულდეს დაწყების თარიღიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება USAID-ის პოლიტიკის საკონკურსო პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია კონკურსის ყველა მონაწილეს USAID-ის წყაროს და ფედერალური რეგულაციების კოდექსის ეროვნული რეგულაციების 228-ე (http://www.gpo.gov/fdsys/pkg/FR-20101-10/html/2011-33240.htm) ნაწილით განსაზღვრული USAID-ის გეოგრაფიული კოდი 937-ით გათვალისწინებული სიიდან ან 110-ე კოდით გათვალისწინებული სიიდან (ამჟამად: **ამერიკის შეერთებული შტატები, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი**), შეძენის თარიღისთვის.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ქვემოთ მითითებულ მისამართზე **10:00**-დან **18:00** სააათამდე. კონკურსის დაინტერესებულ მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა ინგლისურ ენაზე, შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენის და არანაზღაურებადი 300 (სამასი) ლარის, ან აღნიშნული თანხის ექვივალენტი

ვალუტის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი ტრანსფერის, ან დეპოზიტის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლე: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" თბილისი, საქართველო
მულტი-სავალუტო ანგარიშის№ GE68BR0000010869742759 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)
სვიფტ-კოდი: REPLGE22
მიუთითეთ: "მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე, პაკეტის ნომერი USAID/W/ICB/08-Lot3-2014"

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. წარმატებული კონკურსის მონაწილის სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში აუცილებელია შეადგენდეს **27,000,000** ლარს.

2. ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მინიმალური მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **3,800,000** ლარს.

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენა უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არა უგვიანეს 2014 წლის 25 აპრილს 16:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების გარანტია: **150,000** ლარზე.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლების და იმ პირების თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ დასწრებას ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2014 წლის 25 აპრილს, 16:00 საათზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მის.: დ. აღმაშენებლის გამზ. №150, თბილისი 0112, საქართველო
ოთახი 306
ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი
ტელ: (+995 32) 2437001/02/03/04, შიდა ნომერი 306
ფაქსი: (+995 32) 2437077
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში
საკონტაქტო პირი: ქ-ნი ლელა შანიძე, შესყიდვების ოფიცერი
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
დ. აღმაშენებლის გამზ. №150, 0112, თბილისი, საქართველო, ოთახი №412
ტელ: (+995 32) 2437001/02/03/04, შიდა ნომერი 412
ელ. ფოსტა: lshanidze@mdf.org.ge